



ეკონომიკა ბიზნესი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ლეპარტამენტის ყოველთვიური გაზეთი * 1998 წლის აგვისტო №5 უსი 40 თეთრი

აჭარის დედასამოკლოსთან დაბრუნების 120 წლისთავი



ბათუმის
ნავსადგური

პრესკონფერენცია

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ლეპარტამენტში გრადი-ციალ არის დამკვიდრებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ყოველი ნ-თვიანი პერიოდის შესახებ პრესკონფერენციის გამართვა.

ეს გრადიცი ანუ ამჯერად დარღვეულა. ლეპარტამენტის თავმჯდომარემ თეიმურაზ ბერიძემ ვრცელად და ნათლად წარმოაჩინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1998 წლის პირველ ნახევარში.

აღინიშნა, რომ წლებულს გრადიციდან მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნებისა და გადარჩევის პროცესი. მკაცრი მონიტორინგი პოლიტიკის შედეგად საფინანსო სისტემა ძირითადად სტაბილური იყო. ამის შედეგად განვიხილავთ პერიოდში ინფლაცია საერთოდ არ ყოფილა და სამომხმარებლო ფასები 1997 წელთან შედარებით 1,3 პროცენტით შემცირდა.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,9 პროცენტით გაიზარდა და 2,9 მლრდ. ლარი შეადგინა. მეორე კვარტალში ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპების წყალობით ძირითადად დაიძლია მრეწველობის სოფიერ დარგში წარმოების შემცირების ტენდენციები და მთლიანად განვიხილავთ ნახევარი წელი ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში აღინიშნება ზრდის დადებითი ტემპებით.

მიუხედავად ბოლო პერიოდში გატარებული დონისიბებისა, ფარული ეკონომიკის მასშტაბები ჯერჯერობით არ მცირდება და მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 40 პროცენტს აღწევს. განსაკუთრებით დიდია მისი წილი ექსპორტში (საგარეო ვაჭრობის

სულიანი ოჯახისთვის კი 180,5 ლარი.

1998 წლის 1 ივლისის მდგომარეობით რეგისტრირებული უმუშევრების რიცხოვნობამ 70 ათასი კაცი შეადგინა, რეგისტრირებული უმუშევრობის დონემ კი - 3,5 პროცენტი.

1998 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის დარგებში დასაქმებულთა და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1,5-1,5-ჯერ გაიზარდა და მან შესაბამისად 60,3 ლარი და 58,8 ლარი შეადგინა, არასახელმწიფო სექტორში კი - 1,1-ჯერ გაიზარდა და 69,1 ლარი შეადგინა.

ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრი საქართველოს მთავარი კომპლექსური რეგისტრია. მასში იდენტიფიკაციის საფუძველზე დაფიქსირებულია ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ან სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, მათი წარმომადგენლობები და ფილიალები.

რეგისტრი ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე დაკვირვებისა და სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებით ორგანიზების საფუძველი უნდა გახდეს. რეგისტრში 1998 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დაფიქსირებულია 56697 ობიექტი (საწარმო, ორგანიზაცია, ფილიალი და სხვა).

დეპარტამენტის თავმჯდომარემ უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას.

აღ. ალექსიშვილი.

ინფორმაცია

ეფექტიანი სტატისტიკური სისტემის შესაქმნელად

ბაიბარტა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ლეპარტამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ დეპარტამენტის სახელმწიფო სტატისტიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ხელმძღვანელები, რაიონის (ქალაქის) სტატისტიკის განყოფილებათა უფროსები, დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შემავალ ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

ფართო და მრავალფეროვანი გახლდათ განხილულ საკითხთა სპექტრი: „სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირება“ (დეპარტამენტის თავმჯდომარე თ. ბერიძე); „საერთაშორისო თანამშრომლობა, როგორც სტატისტიკის სრულყოფის ერთ-ერთი მიმართულება“ (დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ი. არჩვაძე); „მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა“ (დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ჭირაქაძე); „სამეწარმეო სტატისტიკის რეფორმის მიმდინარეობა“ (დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე დ. კბი-

ლაძე); „სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული პრობლემები ეკონომიკური რეფორმების პირობებში“ (დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გაწურელია).

აღინიშნა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული ორგანოები საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და უცხოური სტატისტიკური უწყებების დახმარებით მიზანმიმართულ საქმიანობას ეწევიან საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ადეკვატური ეფექტური სტატისტიკური სისტემის შესაქმნელად; მიღებული კანონი „სტატისტიკის შესახებ“, შეტანილია ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამის მუხლში, გადაიხედა და ახალი მოთხოვნების მიხედვით დამტკიცდა დეპარტამენტის დებულება და აპარატის სტრუქტურა. სხვა ეკონომიკური პროფილის სამინისტროებსა და უწყებებთან თანამშრომლობით შემუშავდა აღრიცხვისა და სტატისტიკის სრულყოფის 2000 წლამდე პერიოდის პროგრამა.

(დასასრული მე-2 გვ.)

ნომერშია:

რა უნდა ვიხილომ ადნეობისას? ----- 3, 4

5 ----- ღრუა ჩამოვკრათ განგაჟის ზარი!..

6 ----- ათრეატიკური ბილდები ლაიბგრაფიაში

7 ----- 1997 წელს აქრალი შინაგარეო ვაჭრობის უსი და რეკონსტრუქცია

ინფორმაცია

ეფექტიანი სტატისტიკური სისტემის შესაქმნელად

(პირველი გვერდიდან)

მიმდინარეობს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის პროცესი, დამუშავდა საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი; ხორციელდება „დარგობრივი სტატისტიკიდან“ „საწარმოთა სტატისტიკაზე“ თანდათანობით გადასვლა; მნიშვნელოვანი ხასიათის საბუშაოები შესრულდა შინამეურნეობაზე სისტემატური სტატისტიკური გამოკვლევების მოწყობისა და მათი ანალიზის მხრივ, რაც ამოსავალი ინფორმაციული რესურსია მოსახლეობის დასაქმების, ცხოვრების დონის, სამეწარმეო აქტივობის, უმუშევრობის და სხვა ეკონომიკურ-სტატისტიკური პარამეტრების ირიბი დახასიათებისათვის. დაფინანსებაში შექმნილი სირთულე-

ბის მიუხედავად, დეპარტამენტის აპარატი და ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რათა არ დაუმევან ჩამორჩენა მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერისათვის მზადებაში; ქვეყნის აგრარულ სექტორში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესაბამისად და სოფლად პირველად აღრიცხვის მოსაწესრიგებლად მრავალი ღონისძიება განხორციელდა. პირადი სარგებლობის მიწის ფართობების სიდიდის მიხედვით დაჯგუფდა ოჯახური მეურნეობები,

რომელთა ბაზაზე შეიქმნა გამოსაკვლევ რეპროდენტთა ქსელი და დაიწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტატისტიკური კვლევების პროგრამის რეალიზაცია. გადაფასდა ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდები. და მინც, ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის (1997-2000 წ.წ.) პროგრამის მიმდინარეობაზე სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, სტატისტიკური მაცივის სხვა მომხმარებლების ამომწურავი სტატისტიკური ინფორმაცი-

ით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სახელმწიფო სტატისტიკური გამოკვლევების ორგანიზაციის თითოეული ეტაპის კომპლექსური და თანამიმდევრული გაუმჯობესება მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინებით. საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინეს ც. ელიაძემ (დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს უფროსი); ა. კურტანიძემ (დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე); ვ. ტულუშმა (საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრის უფროსი); გ. ბანძავამ (კადრების განყოფილების უფროსი); სტატისტიკის დეპარტამენტის რეგიონულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. სხდომამ მიიღო დადგენილება განხილულ საკითხებზე.

თინა მჭედლიძე.

თითო აზრსათ:

„სტატისტიკა იბრუნებს თავის სოციალურ ფუნქციასა და მნიშვნელობას, რასაც ხელს უწყობს ახალი სამართლებრივი ბაზის შექმნა და ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის პროგრამის (1997-2000 წ.წ.) განხორციელების პროცესი... ოპერატიული და სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის უქონლად შეუძლებელია ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება და ხორცშესხმა, მთელი სასოფლო-სოფლის და ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესის დაკმაყოფილება, რაც განაპირობებს სტატისტიკის არსებითი გადახადის ხარისხს და რეფორმირების აუცილებლობას... სტატისტიკა საქართველოში წარმოადგენს დემოკრატიული გარდაქმნების მძლავრ იარაღს და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ინსტიტუტების მისდამი დამოკიდებულება ბევრად განსაზღვრავს ეკონომიკური რეფორმების წარმატებას.“

თიმიშუაზ გომიძე.

„უახლოეს პერიოდში უნდა მოგვადინოთ სამეწარმეო სტატისტიკის მანუალებებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების მაქსიმალური შესაბამისობა. მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ არა მარტო ჩვენი ინფორმაციის დამაჯერებლობას, არამედ ეკონომიკის არაფორმალური სექტორის, მისი ჩრდილოვანი ნაწილის მასშტაბების დადგენას.“

იოსებ არჩვაძე.

„მომავალი აღწერა თანამედროვე ცივილიზებული ფორმით პირველად ტარდება საქართველოში, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანაში, და მის ინტერესებს ემსახურება. მოთხოვნები, რომელთაც გარესამყარო უყენებს დამოუკიდებელ ქვეყნებს, განაპირობებს აღწერის მოწყობის ხარისხობრივ მანუალებებს. ამ ამოცანისათვის თავის გართმევა წარმოუდგენელია, თუ არა აღწერის ეროვნული ინტერესების რანგში აყვანა.“

მირაზ ჰირაბაძე.

„გრძელდება მუშაობა „ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრის“ შესაქმნელად. დღეს უკვე განდგენ რეგისტრის აქტიური მომხმარებლები და კარგა ხანია დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ მან თავისი დანიშნულება შეასრულოს, ე.ი. მის საფუძველზე მოხდეს შერჩევითი სტატისტიკური კვლევების ორგანიზება.“

მადონი კვიციანი.

„სოფლის მეურნეობის სტატისტიკის პრობლემები სტატისტიკის რეფორმაციის კონცეფციასთან მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში ამ დარგს ძალზედ მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, საარსებო ადგილი განეკუთვნება, სტატისტიკური საბუშაოების საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში მისი პრიორიტეტი უგულვებელყოფილია.“

ნანა ბაჭყალიძე.

ყვალვა

ახლოვდება სამტემბერი

პრეზიდენტის ბრძანებულებით „მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ დამტკიცდა მხელადმისადგომ რაიონთა ჩამონათვალი, სადაც მოსახლეობის საყოველთაო აღწერა მოეწევა ვადაზე ადრე: გულრიფშის რაიონის აუარის სასოფლო-სოფლის საკრებულოში (კოდორის სეობაში) 3-10 სექტემბერს, სოლოღენტეხის, მეტეხის, უახუბის რაიონებში, ასმეტის რაიონის ომალოს თემის საკრებულოში, დუშეთის რაიონის — გუდამაყრის, ქვეშეთის, უკანაფშავის, შატლისა და სუგსურეთის (სოფლის) თემის საკრებულოებში — 16-23 სექტემბერს.

საორგანიზაციო გეგმის შედგენის დროს სააღწერო დარაიონებას შესანიშნავად გაართვეს თავი და აღწერის მოწყობის საორგანიზაციო გეგმა ერთ-ერთმა პირველებმა წარმოადგინეს. მხელადმისადგომ რაიონებში ყველა საბუშაო კალენდარული ვადების დაცვით შესრულდა. თავის დროზე შედგა საქალაქო დასახლებებში სასახლეების და სოფლად სოფლის დასახლებული პუნქტების სიები. დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველომ მხელადმისადგომ რაიონებში აღწერის მოწყობის საყოველთაო გეგმების შედგენაში პრაქტიკული დახმარებისათვის თანამშრომლები მიავლინა. დღეისათვის ყველა მხელადმისადგომ რაიონში შედგენილი და დამტკიცებულია აღწერის მოწყობის საორგანიზაციო ვადებები. განსაზღვრულია სააღწერო კადრების საჭირო რიცხვი. ამჟამად ამ რაიონებში სტატორგანოები სააღწერო პერსონალს არჩევენ და სიებს ადგენენ, რათა ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს წარუდგინონ თითოეული მათგანის პერსონალურად დასამტკიცებლად.

აღწერა კარგა მომდგარი, რაიონებთან დაკავშირება ძალზე გართულდება, არ მუშაობს ტელეფონი, რადიო, ცუდია ტელევიზია, რაიონებამდე მხელად აღწევს ჰრესა, რაც ხელს უშლის ამ რაიონების მოსახლეობაში აღწერის სახელმწიფოებრივი და ზოლიტიკური მნიშვნელობის, მისი მიხედვით და ამოცანების, მოქალაქეთა მოვა-

დებისა და ზანუსისმგებლობის შესახებ განმარტებით მუშაობას. რაიონებში არ არის კავშირი სოფლებთან, არ მუშაობს შიკა სარაიონო ტრანსპორტი და ამა თუ იმ სოფლის თემის საკრებულოსთან კავშირი უმეტესწილად შემთხვევით მკნაზრსა და მის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, ამ რაიონებში აღწერის მოწყობაზე ზანუსისმგებლობა თანაბრად უნდა გაიყონ ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანოებმა, ყველა სამინისტრომ და უწყებამ მათ რაიონულ სამსახურებთან ერთად.

აღწერის მომზადებასა და წარმართვაში წვრილმანი და უმნიშვნელო სამუშაო არ არსებობს, ერთი განაპირობებს მეორეს, სოლო ყველა ერთად — აღწერის მოწყობას მთლიანად. ჩვენი ქვეყანა ჩართულია მოსახლე-

ობის მსოფლიო აღწერების ათწლიან ციკლში. მის მომზადებასა და წარმართვას საფუძვლად ედება გაეროს, ეკოს და ევროსტატის, ასევე დსთ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის რეკომენდაციები. ისე, როგორც უოფიდი საბჭოთა რესპუბლიკები, საქართველოც გაეროს მუდმივი მეთაულეურების ქვეშაა და გამოიცხადებული არ არის, რომ მხელადმისადგომ რაიონებში აღწერის დამკვირვებელთა პირველი ნაკადის მასშინძლობა დაგვიჭირდეს. იმაზე, თუ როგორი ზანუსისმგებლობით მოვეყვებით ამ დიდ პოლიტიკურ ღონისძიებას, დიდად იქნება დამოკიდებული თითოეული რაიონის, და საბოლოოდ, მთელი ქვეყნის წარმოქნა.

მერი ასილაშვილი,

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.



მეცნიერებათა აკადემიის მიწოდება

მოსახლეობის შემადგენლობის, ტერიტორიაზე განსახლებებისა და მასში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას და პროგნოზირებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთი შესწავლის შედეგები საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო პოლიტიკით გათვალისწინებულ ყოველ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებას, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ღონისძიებათა ეფექტიანობა და მიმდინარე დემოგრაფიული პროცესებზე მისი ზეგავლენის წინასწარი შეფასება.

ყოველივე ეს განსაკუთრებულ დირებულებას იძენს დღევანდელ საქართველოში, რაც განაპირობებს ჩვენში დემოგრაფიის უაღრესად დიდ პრაქტიკულ, სამეცნიერო და პოლიტიკურ მნიშვნელობას.

დემოგრაფიული მეცნიერების ისტორია 300 წელიწადზე მეტს ითვლის და ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ხდებოდა დემოგრაფიულ კვლევათა მეთოდების სრულყოფა. აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, სამოყვალბებისთანავე მასში გამოიყენებოდა მათემატიკური მეთოდები და ბევრმა გამოჩენილმა მათემატიკოსმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ მეცნიერების განვითარებაში. ეს არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან თითქმის 200 წლის განმავლობაში დემოგრაფიის ცენტრალურ პრობლემას სიკვდილიანობა წარმოადგენდა, რომელიც აინტერესებდა არა მარტო პოლიტიკოსებს, არამედ სადაზღვევო საკმის წარმომადგენლებსაც. ამ უკანასკნელთ არაკმაყოფილებლათ ზოგადი მოსაზრებები და თვისებრივი ხასიათის დასკვნები, არამედ სჭირდებოდათ მკაცრი მათემატიკური გათვლების შედეგები. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ალბათობის თეორიის მეთოდები პირველად, ახარტულ თამაშებთან ერთად, სიკვდილიანობის შესწავლისათვის იყო გამოიყენებული, ხოლო დემოგრაფია გახდა „პოლიტიკური არითმეტიკის“ ის ნაწილი, რომელიც სისტემატურად იყენებდა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს და ამავე დროს ხელს უწყობდა ამ უკანასკნელში ახალი იდეების განვითარებას.

დემოგრაფიის ინტერესების სფეროს გაფართოებასთან ერთად მოხდა მათემატიკური მოდელირების პრინციპების გაფრცველბა სხვა დემოგრაფიულ პროცესებზეც და დღეს უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ მოსახლეობის ელავწარმოების მთლიანი რთული პროცესის მათემატიკურ მოდელირებაზე. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპის შეცვლამ ბოლო დროს ახალი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა და მათემატიკური მოდელირების გართულება გამოიწვია. თანამედროვე დემოგრაფიული ანალიზი გულისხმობს ამგვარი მათემატიკური მოდელის აქტიურ გამოყენებას, რაც საშუალებას გვაძლევს მიმდინარე დემოგრაფიულ მოვლენებს, გამოვყენებით მათი ძირითადი კანონზომიერებები და გამოვთქვათ დასაბუთებული პროგნოზები. დემოგრაფიისა და მათემატიკის მიჯნაზე შეიქმნა ახალი დისციპლინა — მათემატიკური დემოგრაფია, რომელშიც დემოგრაფიული მოვლენები მათემატიკური მოდელირების საშუალებით შესწავლდება და რომელიც დღესდღეობით თავისი აყვავების პერიოდში იმყოფება.

(დასასრული მე-6 გვ.)



ლოკუმენტი

მოსახლეობის სრული აღრიცხვის მიზნით აღწერის პროგრამით გათვალისწინებული საკონტროლო ღონისძიებები, რასაც ემსახურება სააღწერო კითხვარის ფორმები № 3 - საკონტროლო სააღწერო ფურცელი, № 4 - საკონტროლო სათვალავი და № 5 - ცნობა აღწერის გავლის შესახებ.

საკონტროლო დოკუმენტები ივსება მოცემულ საცხოვრისში დროებით მყოფ ყველა პირზე, რომელსაც არა აქვს ცნობა აღწერის გავლის შესახებ და, ასევე, არაერთი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირზე.

დროებით მცხოვრების სახით აღწერილ ყველა პირს აღმწერი აძლევს ცნობას აღწერის გავლის შესახებ (ფორმა 5). კერძოდ, ცნობა ეძლევა სასტუმროში, საავადმყოფოში, სამშობიარო სახლში, სანატორიუმში და სხვა დაწესებულებებში აღწერილ ყველა პირს. გარდა ამისა, ცნობა ეძლევა:

- 1) პირს, რომელზედაც შეივსო საკონტროლო სააღწერო ფურცელი (ფორმა 3) ან საკონტროლო სათვალავი (ფორმა 4).
2) პირს, რომელიც აღწერის ან საკონტროლო შემოვლის პერიოდში (ე.ი. 20 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით) ვარაუდობს სხვა ადგილზე თუნდაც ერთი დღით გამგზავრებას.
პირი, რომელსაც აქვს ცნობა აღწერის გავლის შესახებ, განმეორებით არ უნდა ჩაიწეროს სააღწერო დოკუმენტაციაში მის არამუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, ხოლო მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ასეთი პირის ჩაწერა,

როგორც დროებით არმყოფისა, ხდება მაშინაც კი, როდესაც ცნობა ხელთ აქვს.
ცნობა აღწერის გავლის შესახებ მიეცემა ყველას, ვინც ეწვეა მომთაბარე ცხოვრებას ან არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი

საკონტროლო ღონისძიებები

(ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე გამგზავრებული პირი, თუ აღწერამ მას გზაში მოუსწრო; უსახლკარო, აგრეთვე, ყველას, ვისზეც შეივსო საკონტროლო სააღწერო ფურცელი (ფორმა № 3) ან საკონტროლო სათვალავი (ფორმა № 4).

თუ აღმწერი მოცემულ საცხოვრისში შეხვედბა მუდმივად ან დროებით მცხოვრებ პირს, რომელიც 19-დან 20 იანვრის დამის 12 საათზე იმყოფებოდა სხვა ადგილზე, სადაც უნდა აღწერილიყო, როგორც დროებით ან მუდმივად მცხოვრები (დროებით არყოფნაზე ჩანაწერისა და აღნიშვნის გარეშე), მაშინ ის ვალდებულია გაარკვიოს, აქვს თუ არა ცნობა აღწერის გავლის შესახებ. პირზე, რომელსაც არა აქვს ასეთი ცნობა, შეივსება საკონტროლო სააღწერო ფურცელი (ფორმა 3).
საკონტროლო სააღწერო ფურცელი შეიცავს სააღწერო ფურცლის (ფ. № 2) 1 - 13 კითხვებს და მისი შევსების წესი იგივეა, რაც სააღწერო

ფურცელსა. გარდა ამისა, მასში მიეთითება სამი მისამართი:
1) პირველ გვერდზე უნდა ჩაიწერება იმ ადგილის მისამართი, სადაც შეივსო მოცემული საკონტროლო სააღწერო ფურცელი;
2) პირველ კითხვაში - გამოსაკითხის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

3) მეორე გვერდზე - დაწერილებითი მისამართი, სადაც მოცემული პირი უნდა აღწერილიყო როგორც მუდმივი მცხოვრები (დროებით არყოფნის ჩანაწერისა და აღნიშვნის გარეშე), ან როგორც დროებით მცხოვრები.

შემდგომში ბოლო მისამართის მიხედვით შემოწმდება, შეტანილია თუ არა მოცემული პირი სიაში და შეესებოდა თუ არა მასზე სააღწერო ფურცელი აღწერის გავლის ნაგარაუდევ ადგილზე ამიტომ აუცილებელია, რომ ეს მისამართი იყოს ჩაწერილი სრულად და ზუსტად.

თუ საკონტროლო სააღწერო ფურცელი შეივსება პირზე მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაშინ, საკონტროლო სააღწერო ფურცლის შევსებასთან ერთად, იგი შეიტანება სიაში (ფ.1) დროებით არყოფნის აღნიშვნით და მასზე შეივსება სააღწერო ფურცელი (ფ.2).

თუ პირი, რომელზედაც შეივსო საკონტროლო სააღწერო ფურცელი, არ იმყოფება თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, მაშინ საკონტროლო სააღწერო ფურცლის შევსების ადგილზე ის სიაში არ შეიტანება და მასზე არ შეივსება სააღწერო ფურცელი.

თუ აღმწერი შეხვედა ორი ან მეტი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირს და აღსაწერად შერჩეული იქნა საცხოვრისი სხვა მისამართის მიხედვით და, თუ გამოსაკითხს არა აქვს ცნობა აღწერის გავლის შესახებ, აღმწერი ვალდებულია მასზე შეავსოს საკონტროლო სააღწერო ფურცელი.

თუ აღმწერი შეხვედა პირს, რომელსაც აქვს ორი და მეტი საცხოვრებელი ადგილი და გამოსაკითხის აღსაწერად შერჩეული იქნა მოცემული საცხოვრისი, მაშინ აღმწერი ვალდებულია ეს პირი ჩართოს საცხოვრისში მცხოვრებთა სიაში, შეავსოს მასზე სააღწერო ფურცელი, აგრეთვე, შეადგინოს საკონტროლო სათვალავი და გასცეს ცნობა აღწერის გავლის შესახებ სხვა საცხოვრებელ ადგილზე აღმწერისათვის წარსადგენად.

საკონტროლო სათვალავი (ფ. № 4) ივსება იმ პირზე, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია ორი და მეტი საცხოვრებელი ადგილი მიეთითება ორი მისამართი: სამისამართო ნაწილში - სადაც პირი აღიწერა, ფორმის ბოლოს - მისამართი მეორე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, საკონტროლო უნდა შეივსოს იმდენი სათვალავი, რამდენი საცხოვრისიც აქვს გამოსაკითხს, გარდა იმ საცხოვრისისა, სადაც იგი აღიწერა.

საკონტროლო სააღწერო ფურცლები და საკონტროლო სათვალავები, შევსების კვალობაზე, ბარდება ინსტრუქტორ-კონტროლიორს. შემდეგ მათ მიხედვით შემოწმდება, გაიარა თუ არა აღწერა აღნიშნულმა პირმა მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. აღწერის დამთავრების შემდეგ ინსტრუქტორ-კონტროლიორი აღმწერთან ერთად ატარებს შერჩევით საკონტროლო შემოვლას. იგი ტარდება ყველა სააღწერო უბანში, თითოეულ მათგანში საცხოვრისების 10 %-ის ფარგლებში. საკონტროლო შემოვლა ტარდება იმისათვის, რათა შემოწმდეს, ხომ არ ყოფილა აღწერის დროს გამოტოვების ან ორმაგი ჩაწერის შემთხვევები, სწორად იყო თუ არა გაკეთებული აღნიშვნები დროებით არყოფნის და დროებით ცხოვრების შესახებ.

პირი, რომელიც მოცემულ საცხოვრისში ექვემდებარებოდა აღწერას, მაგრამ გამორჩა აღმწერს, ინსტრუქტორ-კონტროლიორის მიერ შეიტანება საცხოვრისში მცხოვრებთა სიაში და მასზე შეივსება სააღწერო კითხვარი. საკონტროლო შემოვლის დროს ივსება, აგრეთვე, საკონტროლო დოკუმენტები (საკონტროლო სააღწერო ფურცელი, საკონტროლო სათვალავი), რომლებიც საჭირო შემთხვევებში არ იყო შევსებული.

რაქმენ ბელაძე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

პასუხი ყველა კითხვაზე

მ(ო)შ(ი)ლი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წინა, 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შემდეგ ძირეული ცვლილებები მოხდა, როგორც ეკონომიკის, ისე მოსახლეობის შემადგენლობაში.

გადავადით აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე, მკვიდრდება ახალი ტერმინები: შინამეურნეობა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, დასაქმების სტატუსი, უმუშევრები და სხვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ახალ სიტუაციებთან დაკავშირებით, ახალი მიმართულება მიიღო უმუშევრობამ, იძულებითმა მიგრაციამ, სამხედრო თანამშრომლობის ფორმებმა, რომლებიც ადრე არ იყო.

ყოფილ საბჭოთა კავშირის საზღვრებში ძალზე დიდხანს ხალხებს შორის დამკვიდრებული თანაცხოვრების წესები და მჭიდრო კავშირები, დსთ ქვეყნებს შორის ე.წ. „გამჭვირვალე“ საზღვრები, არსებით გავედენას მოახდენს მოსახლეობის გამოთვლას.

მეთოდოლოგიური პრობლემების წრეს და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზებს მიეძღვნა მსჯელობა 1998 წლის აპრილის დასაწყისში ქ. მოსკოვში, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან გაეროს და ევროსტატის ეგიდით მოსახლეობის აღწერის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სემინარზე.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა აღრიცხვა

დსთ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში არ არის პირადი დამხმარე მეურნეობის განმარტება. პრაქტიკაში ასეთად მიიღება მეურნეობა (მუბაღობისა და მებოსტნეობის ამხანაგობების და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი), სადაც ოჯახი ან ნათესაური ურთიერთობით დაკავშირებული პირი (ერთობლივ საკუთრების ან იჯარის უფლებით) ან ცალკეული პირი (პირადი საკუთრების ან იჯარის საფუძველზე) თავისი შრომით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას და შენახვას.

პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს დსთ ქვეყნებისათვის, რადგან სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს თავის განკარგულებაში აქვს მიწის ნაკვეთი და პირადი დამხმარე მეურნეობა.

მოსახლეობის ეს ნაწილი ქმნის ერთობლივი შიგა პროდუქციის განსაზღვრულ ნაწილს და ამ სახის საქმიანობით დასაქმების მასშტაბების აღრიცხვა აუცილებელია მრავალი სტატისტიკური მაჩვენებლის სწორი გამოთვლისათვის.

ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ შრომის სტატისტიკის მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით, პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებული პირი არ მიეკუთვნება უმუშევართა კატეგორიას. აქედან გამომდინარე, მონაცემებს პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და უმუშევართა რიცხვის გაანგარიშებისათვის.

შრომის სტატისტიკაში პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა გაანგარიშება შრომითი რესურსების ბალანსის ჩარჩოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობის გაანგარიშებისას მრავალ მაჩვენებელთა საფუძველზე, რომელთაგან ძირითადია პირად დამხმარე მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია და შრომის ფაქტობრივი

რა უნდა ვიცოდეთ აღწერისას?

დანაზარალები. საბაზისო მონაცემებზე გამოყენებულა ოჯახის ბიუჯეტის გამოკვლევები, რომლებშიც ამაჟამად, გამოკვლევის პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებით, ზოგ ქვეყანაში საჭირო მონაცემები აღარ არის ან, შერჩევის მცირე მოცულობის და კითხვების არასაკმაო რაოდენობის გამო, პრობლემად რჩება შესაბამისი ინფორმაციის საჭირო მოცულობით მოპოვება.

აქედან გამომდინარე, პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმების შესახებ აღწერის შედეგებით მიღებული ინფორმაცია შეიძლება უფრო სრულყოფილი აღმოჩნდეს, ვიდრე მას ამაჟამად ვგლობთ.

რა არის ჩადებული მომავალი აღწერის პროგრამაში? კითხვაში - „არსებობს საშუალებათა წყაროები“, არის ქვეკითხვა - „პირად დამხმარე მეურ-

ზოგიერთი მეთოდოლოგიური პრობლემა

ნეობაში მუშაობა“. უშუალოდ მოსახლეობის გამოკითხვის გზით ვიღებთ ინფორმაციას ამ სახის საქმიანობით გამოსაკითხი პირის დასაქმების შესახებ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების შეფასებისათვის ეს ინფორმაცია არასაკმარისია შემდეგი მიზეზებით:

- 1. შეიძლება პირმა არ დაასახელოს პირად დამხმარე მეურნეობაში მუშაობა, თუ ეს მეურნეობა არარეგისტრირებულია და დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ფინანსური და შრომითი დანაზარალები არ იძლევა მოგებას.
2. პირადი დამხმარე მეურნეობა, როგორც წესი, ოჯახური მეურნეობაა, სადაც ოჯახის წევრების მიხედვით არ ხდება შრომითი დანაზარალების აღრიცხვა და მათ შორის წარმოებული პროდუ-

ქციის განაწილება შეიძლება სხვა პროპორციით მოხდეს, ვიდრე შრომითი დანაზარალები.

3. ინფორმაცია შეიძლება აღმოჩნდეს არასრული, იმის გამო, რომ კითხვა შეიძლება დაისვას მხოლოდ ძირითადი შემოსავლების ნაწილში.

4. აღწერის შედეგად მიღებულ ინფორმაციას აქვს ერთდროული ხასიათი და ამიტომ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს შრომის სტატისტიკის მიერ საშუალოდ წლისათვის გაანგარიშებული ანალოგიური მაჩვენებლისაგან.

5. ინფორმაცია შეიძლება შემოსავლების შესახებ დასაქმების, შეფასების თვალსაზრისით წინააღმდეგობრივი იყოს, რადგან გამოსაკითხმა შესაძლოა აწინააღმდეგოს შემოსავლის ორი წყარო: პირადი დამხმარე მეურნეობა და შემწობა უმუშევრობის მიხედვით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის და უმუშევართა კატეგორიის შეფასებისათვის რეკომენდებულია გამოსაკითხი პირის დასაქმების კითხვა:

„შესაძლოა თქვენ დასაქმებული იყავით პირად დამხმარე სოფლის მეურნეობაში?“

პასუხი: „დას“, „არა“.

ან „ვიხდებოდათ თუ არა გავეყიდათ ან გავეცვალათ პირადი დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტით?“

პასუხი: „დას“, „არა“.

ეს პარამეტრები დაგვეხმარება შევასწოროთ გამოსაკითხი პირის დასაქმება პირად დამხმარე მეურნეობაში და ამ დასაქმების მასშტაბები.

მისი, ევროსტატისა და ეკის რეკომენდაციებით და ჩვენი სამაშულო გამოცდილების საფუძველზე, შინამეურნეობის ცნების ქვეშ იგულისხმება საცხოვრისში ერთად მცხოვრებ პირთა ჯგუფი, რომლებიც ეწევიან საერთო მეურნეობას, ე.ი. მთლიანად ან ნაწილობრივ აერთიანებენ თავიანთ ინდივიდუალურ ბიუჯეტს კვების, საყოფაცხოვრებო საჭიროებების ერთობლივი ხარჯვის ნაწილში ან აქვთ საერთო ბიუჯეტი, ექვემდებარებიან საერთო წესებს და ურთიერთდაკავშირებული არიან ნათესაური ან არანათესაური კავშირებით, ან ორივეთი ერთად.

შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს დამოუკიდებლად მცხოვრები ერთი კაცისგანაც. ზემოთ მოყვანილი განმარტების შესაბამისი შინამეურნეობა შეიძლება მივიჩნიოთ კერძო შინამეურნეობად.

გარდა კერძო შინამეურნეობისა, არის, აგრეთვე, კოლექტიური (ჯგუფური) შინამეურნეობა, რომელსაც მიეკუთვნება ერთი საცხოვრისის ერთეულში მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთად იკვებებიან, ექვემდებარებიან საერთო წესებს, მაგრამ არა აქვთ ინდივიდუალური ბიუჯეტები, საერთო მონაწილეობით ხარჯები და ჩვეულებრივ არ არიან დაკავშირებული ნათესაური ურთიერთობებით. ასეთია, მაგალითად, ინვალიდთა და მოხუცთა სასლ-ინტერნატებში, ბავშვთა და ჩვილ ბავშვთა სასლბებში, სოციალური დანიშნულების დაწესებულებებში, რელიგიური დაწესებულებებში და ა.შ. მუდმივად მცხოვრები პირები.

შინამეურნეობა ოჯახის პოზიციიდან იყოფა ოჯახურ და არაოჯახურ შინამეურნეობად.

ოჯახური შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს:

ერთი ან რამდენიმე ოჯახური უჯრედისაგან (ოჯახური რგოლი), რომლის საფუძველს ქმნის: მუდმივთა წყვილი ან ვაჟების გარეშე ან ნებისმიერი ასაკის დაუქორწინებელი წყვილი ერთი ან რამდენიმე ვაჟით, რომლებსაც არა ჰყავთ საკუთარი ბავშვები;

(დასასრული მე-4 ვგ.)

პასუხი ყველა კითხვაზე

(მე-3 გვერდიდან)

ერთი მშობლისაგან ერთი ან რამდენიმე დაუქორწინებელი ბავშვით, რომლებსაც არა ჰყავთ საკუთარი ბავშვები;

აქედან გამომდინარე, შინამეურნეობა შეიძლება იყოს ერთოჯახიანი და მრავალჯახიანი (ორი და მეტი) და არაოჯახური.

ავილით მაგალითი, როცა საცხოვრისში ცხოვრობს მეუღლეთა წყვილი ბავშვების გარეშე, ან დაუქორწინებელი ბავშვებით, რომლებსაც არა ჰყავთ საკუთარი ბავშვები. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ოჯახურ შინამეურნეობასთან, რომლის შემადგენლობა მთლიანად ემთხვევა ოჯახის შემადგენლობას.

მეორე მაგალითი, როცა ამ მეუღლეთა წყვილთან (ბავშვების გარეშე ან დაუქორწინებელი ბავშვებით) ცხოვრობს მზე ქალი, რომელიც ოჯახთან ერთად ეწევა საერთო ხარჯებს კვებაზე, საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე, მაგრამ არ არის მეუღლეთა ნათესავი. ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს ოჯახურ შინამეურნეობასთან, მაგრამ შინამეურნეობის წევრთა რიცხვი ერთი კაცით (მზე ქალით) მეტი იქნება ოჯახის წევრთა რიცხვზე, ე.ი. შინამეურნეობა = ოჯახი + 1 კაცი.

მესამე მაგალითი - საცხოვრისში ცხოვრობს არანათესაური ურთიერთობით, საერთო კვებაზე ერთად მყოფი ორი წყვილი (ბავშვების გარეშე ან დაუქორწინებელი ბავშვებით, რომლებსაც არა ჰყავთ საკუთარი შვილები), მათთან ცხოვრობენ ოჯახის არმყოფი საერთო კვებაზე მყოფი ნათესავები. ამ შემთხვევაში ერთოჯახიანი შინამეურნეობა შედგება ორი ოჯახისაგან:

შინამეურნეობა = ერთი ოჯახი ნათესავით + მეორე ოჯახი ნათესავით.

ამგვარად, ერთოჯახიანი შინამეურნეობა შეიძლება იყოს შემდეგი შემადგენლობის:

1.1. მეუღლეთა ერთი წყვილი ბავშვების გარეშე ან დაუქორწინებელი ბავშვებით, რომელთაც არა ჰყავთ საკუთარი შვილები;

1.2. მეუღლეთა ერთი წყვილი ბავშვების გარეშე ან დაუქორწინებელი ბავშვებით, რომელთაც არა ჰყავთ საკუთარი შვილები და ერთად ცხოვრების მიუხედავად არ ქმნიან თავიანთ ოჯახებს ნათესავთან ან არანათესავთან, ან ორივესთან ერთდროულად;

2.1. ერთი მშობელი, ქორწინებაში არმყოფი შვილთან, რომელსაც არ ჰყავს საკუთარი შვილი ან შვილები;

2.2. ერთი მშობელი ქორწინებაში არმყოფი შვილთან, რომელსაც არა ჰყავს საკუთარი შვილები და მათთან მცხოვრებ ნათესავთან ან არანათესავთან, ან ორივესთან ერთად არ ქმნის საკუთარ ოჯახს.

ორი-სამი და მეტი ოჯახური შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს:

3.1. ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი ორი და მეტი მეუღლეთა წყვილისაგან ბავშვების გარეშე ან ქორწინებაში არმყოფი შვილებისაგან, რომლებსაც არა ჰყავთ საკუთარი შვილები.

3.2. ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი ორი და მეტი მეუღლეთა წყვილისაგან ბავშვების გარეშე ან ქორწინებაში არმყოფი შვილებისაგან, რომლებსაც არა ჰყავთ საკუთარი შვილები და არ ქმნიან საკუთარ ოჯახს მათთან მცხოვრებ ნათესავთან ან არანათესავთან, ან ორი-

ვესთან ერთად.

3.3. ნათესაურ ურთიერთობაში არმყოფი ორი და მეტი მეუღლეთა წყვილისაგან ბავშვების გარეშე, ან ქორწინებაში არმყოფი შვილებისაგან, რომლებსაც არა ჰყავთ საკუთარი შვილები, და არ ქმნიან საკუთარ ოჯახს მათთან ერთად მცხოვრებ ნათესავთან ან არანათესავთან, ან ორივესთან ერთად.

რაც შეეხება, მარტივი ოჯახების რიცხვს, იგი ტოლი იქნება ერთოჯახიანი შინამეურნეობების რიცხვის და მრავალჯახიანი შინამეურნეობათა ერთად მცხოვრები, მაგრამ არანათესაური ურთიერთობებით დაკავშირებული მარტივი ოჯახების რიცხვის ჯამისა.

თუ მრავალჯახიანი შინამეურნეობებში მეუღლეთა წყვილები აღმაველ ნათესაურ ურთიერთობაში არიან (მშობლები, მშობლების მშობლები, ე.ი.

აქ საუბარი ეხება მოძრავ, იმპროვიზებულ საცხოვრისებს (რონოდები, ბარები, კარვები და ა.შ.), რომლებიც აღწერის მომენტში უნდა იყოს საცხოვრებლად გამოყენებული და დაკავებული;

2. საცხოვრებლად არადანიშნულების, მაგრამ აღწერის დროს ფაქტობრივად ასეთად გამოყენებული.

მაშასადამე, საცხოვრებელი ერთეული შეიძლება იყოს თავისთავად ჩასახლებული ან ჩაუსახლებელი სახლი, ბინა, ცალკე ოთახი ან ოთახთა ჯგუფი, ან

- ჩასახლებული ქოხი, საცხოვრებელი ავტომობილები, ფარდული, გამოქვაბული ან სხვა თავშესაფარი, გამოყენებული საცხოვრებლად აღწერის მომენტში; ან

- სასტუმრო, საერთო საცხოვრებელი, ბანაკი და ა.შ.

ზემოთმოყვანილი განმარტებიდან

ონებს. იგი შეიძლება იყოს ცალკე ბინა ბინების ტიპის საერთო საცხოვრებელში, ოთახი ან რამდენიმე ოთახი დერეფნული ტიპის საერთო საცხოვრებელში. ამასთან, ცალკეული შინამეურნეობის საზღვრები დგინდება შინამეურნეობის კატეგორიის განსაზღვრაში ფაქტობრივი პარამეტრების შესაბამისი შეფასებით, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრისის ერთობლივი გამოყენებისა და კვების მიხედვით. მაგალითად, თუ საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში მცხოვრებლები აერთიანებენ თავიანთი ინდივიდუალური ბიუჯეტების ნაწილს ერთობლივ კვებაზე და საერთო ხარჯებისათვის, ისინი უნდა მიეკუთვნოს ერთ შინამეურნეობას. თუ ერთად კვებისათვის ერთიანდება მოცემულ ოთახში მცხოვრებ პირთა ნაწილი, ხოლო დანარჩენი იკვებება ინდივიდუალურად, მაშინ პირები, რომლებიც ერთად იკვებებიან, აღიწერებიან ერთ შინამეურნეობად,

სამსახურეს, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება და აღიწერება იმავე წესით.

4. სამხედრო მოსამსახურე, რომელიც აგრძელებს სამსახურს სახელმწიფოში, რომლის მოქალაქესაც იგი არ წარმოადგენს, სამხედრო მოსამსახურესა და სამხედრო ნაწილის, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელს შორის დადებული კონტრაქტის საფუძველზე სამხედრო მოსამსახურის პატაკის შესაბამისად გააგრძელოს სამხედრო სამსახური ყოფნის ტერიტორიაზე, აღირიცხება როგორც შრომითი მიგრანტი. თუ მისი სამხედრო სამსახურის ადგილზე ყოფნა 1 წელზე მეტია, მაშინ იგი აღირიცხება, როგორც ამ ქვეყნის მუდმივი მოსახლე.

5. სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის (მათ შორის გაწვევით) დროებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო ფორმირების შემადგენლობაში, თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა შორის შეთანხმების შესაბამისად აღიწერება სამსახურის ადგილზე, როგორც მუდმივი მოსახლე.

6. გაეროს და სხვა სახელმწიფოს უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადის მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უნდა აღიწერონ როგორც დროებით მცხოვრები მოსახლეობა.

შრომითი მიგრანტების აღრიცხვა

რა უნდა ვინცოდეთ აღწერისას?

ოჯახის ჩარჩოებში საქმე გვაქვს მეუღლეთა წყვილების ორ-სამ და მეტ თაობასთან ან ორ და მეტ მეუღლეთა წყვილს აქვს სხვა სისხლით ნათესაობა, მაშინ ეს არის გაფართოებული, ანუ რთული ოჯახი.

ამგვარად, ოჯახების საერთო რიცხვი შედგება მარტივი და რთული ოჯახების რიცხვისაგან. ოჯახების საერთო რიცხვი შეიძლება იყოს ოჯახური შინამეურნეობის რიცხვის ტოლი ან მასზე მეტი (უკანასკნელი მრავალჯახიანი შინამეურნეობების 3.3 ტიპის მარტივი ოჯახების არსებობისას).

შეიძლება არსებით განსხვავებას ჰქონდეს ადგილი ოჯახების წევრთა რიცხვსა და შინამეურნეობების წევრთა რიცხვს შორის, რაც აიხსნება იმით, რომ არანათესავები, რომლებსაც შინამეურნეობის წევრებთან აქვთ მხოლოდ ეკონომიკური კავშირი, უნდა აღირიცხონ მხოლოდ შინამეურნეობის წევრთა რიცხვის განსაზღვრისას და არა ოჯახის წევრთა რიცხვის განსაზღვრისას, რომელთაც არა აქვს ნათესაური ურთიერთობა.

არაოჯახური შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს მარტოხელისაგან, ნათესავებისა და არანათესავებისაგან, რომლებიც არ ქმნიან ოჯახს. მათ რიცხვშია ერთადმცხოვრები და საერთო მეურნეობის მქონე მამა და დეა, ბებია და შვილიშვილი და ა.შ.

საბინაო ერთეულის აღრიცხვა

„საბინაო“ ფონდის აღრიცხვის საერთო პრინციპების“ შესაბამისად საცხოვრებელი ერთეულის ქვეშ იგულისხმება კონსტრუქციულად განკერძოებული ცალკე საცხოვრებელი ადგილი. იგი შეიძლება იყოს:

1. დაპროექტებული, აგებული, გადაკეთებული ან აღმართა საცხოვრებლად მისადაგებული საცხოვრისი (იმ პირობით, რომ აღწერის მომენტში იგი გამოიყენება მხოლოდ საცხოვრებლად.

საცხოვრებელი ერთეულის ძირითადი ნიშანია მისი განცალკევებულობა. იმისათვის, რომ საცხოვრისი ჩათვალოს განცალკევებულად, იგი შემოსაზღვრული უნდა იყოს კედლებით, ღობით, ჰქონდეს სასურავი, რათა პირს ან პირთა ჯგუფს შეეძლოს მასში გამოეყოს სხვა პირს დასაძინებლად, საჭმლის მოსამზადებლად ან მის მისაღებად, დაცული იქნას გარემოსა და უამინდობისაგან. „განცალკევების“ კრიტერიუმად ითვლება მასში შესვლა უშუალოდ ქუჩიდან, საერთო ან კომუნალური კობიდან, დერეფნიდან და ა.შ. უფრო ზოგადი განსაზღვრების თანახმად, საცხოვრისი ითვლება განცალკევებულად, თუ მასში მცხოვრებ პირს შეუძლია შევიდეს ან გამოვიდეს სხვა პირის მიერ დაკავებული საცხოვრისის გავლის გარეშე.

თანამეგობრობის ქვეყნებში ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე შეიძლება საცხოვრებელ ერთეულს წარმოადგენდეს ცალკე ბინა მრავალსართულიან სახლში, ოთახი ან რამდენიმე ოთახი კომუნალურ ბინაში, ინდივიდუალური სახლი ან სახლის ნაწილი, თუ იგი შეესაბამება ზემოთ მოყვანილ პარამეტრებს (მათ შორის საცხოვრებელი ერთეულის განცალკევების ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმს), სააგარაკე ან საბაღე სახლი, თუ მასში აღსაწერი პირი იმყოფება არა მხოლოდ აღწერის მომენტში, არამედ ცხოვრობს; საცხოვრებლად გადაკეთებული ფარდულები, მოძრავი რონოდები, ქოხები და ა.შ. საწარმოო შენობების ნაწილი (მაგალითად, ბავშვთა ბანაკების, პანსიონატების, საბაღე ამხანაგობების და ა.შ. ტერიტორიაზე დაცვის ფუნქციებით დასაქმებული პირების მთელი წლის განმავლობაში ცხოვრებისათვის), საცხოვრისები სოფლის სკოლებთან, საავადმყოფოებთან და სხვა მსგავს დაწესებულებებში.

თანამეგობრობის ქვეყნებში ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე შეიძლება საცხოვრებელ ერთეულს წარმოადგენდეს ცალკე ბინა მრავალსართულიან სახლში, ოთახი ან რამდენიმე ოთახი კომუნალურ ბინაში, ინდივიდუალური სახლი ან სახლის ნაწილი, თუ იგი შეესაბამება ზემოთ მოყვანილ პარამეტრებს (მათ შორის საცხოვრებელი ერთეულის განცალკევების ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმს), სააგარაკე ან საბაღე სახლი, თუ მასში აღსაწერი პირი იმყოფება არა მხოლოდ აღწერის მომენტში, არამედ ცხოვრობს; საცხოვრებლად გადაკეთებული ფარდულები, მოძრავი რონოდები, ქოხები და ა.შ. საწარმოო შენობების ნაწილი (მაგალითად, ბავშვთა ბანაკების, პანსიონატების, საბაღე ამხანაგობების და ა.შ. ტერიტორიაზე დაცვის ფუნქციებით დასაქმებული პირების მთელი წლის განმავლობაში ცხოვრებისათვის), საცხოვრისები სოფლის სკოლებთან, საავადმყოფოებთან და სხვა მსგავს დაწესებულებებში.

მუშათა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელ ერთეულად მიიღება საცხოვრისი, რომელიც უკანსუბებს ზემოთ მოყვანილ მითხ-

ხოლო ცალკე მკვებავი პირები - როგორც დამოუკიდებლად მცხოვრები, ერთი პირისაგან შემდგარი ცალკე შინამეურნეობები.

თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების - სამხედრო მოსამსახურეთა აღწერა

ლსთი სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა აღწერის დროს, აღრიცხვის წესების გადაწყვეტისას, საჭიროა გაითვალისწინოთ სამხედრო ვალდებულების შესრულების პირობების ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც განპირობებულია თანამეგობრობის ჩარჩოებში სამხედრო თანამშრომლობისა და უშიშროების სფეროში სახელმწიფოთა შორის შეთანხმებებით:

1. სამხედრო მოსამსახურეები ჩაირთვება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რიცხვითა-

2. სამხედრო მოსამსახურე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღირიცხება, როგორც დროებით მყოფი, ე.ი. ამ სახელმწიფოს სახეზე მყოფ მოსახლეობაში და როგორც დროებით არმყოფი, ე.ი. მუდმივი - მოქალაქეობის ქვეყანაში, თუ სამხედრო მოსახურის შემდგომი გავლა გათვალისწინებულია მოქალაქეობის ქვეყანაში.

3. თანამეგობრობის ქვეყნებს შორის სახელმწიფოთა შორის შეთანხმების შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე, რომელიც გარანტირებული არიან 2000 წლის 1 იანვარამდე მოქალაქეობის უზაფო შექმნისა და შეცვლის თავისუფალი ვარანტიით, უთანაბრდებიან იმ ქვეყნის სამხედრო მო-

1. სამომავლო პირების მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთ მიგრანტებიან სამუშაოდ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღარ ბრუნდებიან ჩვეულებრივი (მუდმივი) ცხოვრების ქვეყანაში, აღწერის დროს მხედველობაში მიიღება სამუშაოს მიმცემთან მათ მიერ დადებული კონტრაქტით განსაზღვრული დრო. თუ აღნიშნული დრო 1 წელზე ნაკლებია, მაშინ ეს პირი მუშაობის ადგილზე აღიწერება როგორც დროებით მცხოვრები, ე.ი. სახეზე მყოფი მოსახლეობის შემადგენლობაში და თავისი ჩვეულებრივი ცხოვრების ქვეყანაში, როგორც დროებით არმყოფი მუდმივი მოსახლეობა. თუ მოცემული პირის ყოფნის დრო 1 წელზე მეტია, მაშინ იგი აღირიცხება ყოფნის ქვეყანაში როგორც მუდმივი მოსახლეობა და გასვლის ქვეყანაში აღწერას არ ექვემდებარება.

2. თუ შრომითი მიგრანტებისათვის გამოიყენება დროის აღრიცხვის შეჯამების მეთოდი (სავანტო მეთოდის ტიპის სამუშაოს დრო) და მიგრანტების მუშაობის ორგანიზაცია ისეა მოწყობილი, რომ ისინი არ წვევდნენ კავშირს მათ წინა საცხოვრებელ ადგილთან, ცვლათა შორის პერიოდებში დასასვენებლად რეგულარულად ბრუნდებიან მუდმივად ცხოვრების ქვეყანაში, მაშინ ისინი აქ აღიწერებიან, როგორც მუდმივი მოსახლეობა, ხოლო მუშაობის ადგილის ქვეყანაში, როგორც დროებითი მცხოვრები, შრომითი კონტრაქტით განსაზღვრული ვადისგან (მ.რ. 1 წელი და მეტი) დამოუკიდებლად.

3. თანამეგობრობის ქვეყნებში თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსწავლე სტუდენტები აღირიცხებიან იმავე წესით.

ციალა ელიაძე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს უფროსი.

სიტყვა მანყარი

შოთა ნიჟინაძე

ლოქსი - ალგოთიდან ჩამოყვანილი

როგორც სეკცია ვენახები, როგორც სიციხე უკარმა, შენც შეგვამა ნახევარმამამ - ამ ნახევარმამამ...

ცას შეღმუის იმპერია ძველ დიდებით მორჭმული, კავკასიურ ნაგამისგან დუნდულებამოჭმული...

მე ხვალ უნდა დაეხადო არავეის დასარიდალ, ძველმონღოლურ ღრიალიდან და რომაულ ფარიდან...

ერო, გული წაგვლია და გაგვყრომიდა სულიწმინდა, გონებაზე რო მოხვიდე, ასი ალიყური გინდა...

ამირანის ალიყური, დავით მეფის ალიყური, ხაგი, რჯული - არ გაწყენდა მამა ღმერთის ალიყური!

ღმუის, ღმუის იმპერია ძველ დიდებით მორჭმული, კავკასიურ ნაგამისგან დუნდულებამოჭმული...

P.S. მალეკავ, ქისტეთს გადადი, ჯანვლე კლდენი და ღრენია, ჯოყოლას შეილთამეილებსა...



მხეხველრა

ამას წინათ საქართველოს მწერალთა კავშირში დემოგრაფიული საზოგადოებისა და მწერალთა კავშირის ინიციატივით...

დღეს საქართველოში არ ხორციელდება სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა, - მწერალთა კავშირის მდივნის დავით მჭედლურის შესავალ სიტყვაში...

არსებულ მძიმე ვითარებაზე, მის გამოწვევებზე ძირითად მიზეზებსა და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე შთაბეჭდილად ისაუბრეს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა...

ჯერ; თბილისში - 4-ჯერ; ქვემო ქართლში - 3,3-ჯერ; სამცხე-ჯავახეთში და აჭარაში - 2-ჯერ; იმერეთსა და სამეგრელოში - 1,5-ჯერ; მცხეთა-მთიანეთში - 1,4-ჯერ...

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ეს საშუალო მაჩვენებლებია, მივხვდებით, რაოდენ უფრო მძიმე რეალური ვითარება ფრიალ ნეგატიური ტენდენციით ხასიათდება ქორ...

დროა ჩამოვკრათ განგაშის ზარი!

წინება. 70-80-იან წლებში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 10 ქორწინება, ეხლა მოდის - 5.

განზარდა მკვლელობები და თვითმკვლელობები. 1992-96 წლებში თბილისის საავადმყოფოებში თვითმკვლელობის 503 შემთხვევა აღირიცხა.

გაიზარდა გარე მიგრაცია. ოფიციალური მონაცემით წასულთა რიცხვმა 300-350 ათასს გადააჭარბა. განა ეს საქართველოსათვის პატარა ციფრია, თუნდაც მისი ეკონომიკური შედეგის გამო?

საქართველოს დემოგრაფიული ვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია სეპარატისტული კონფლიქტებით გამოწვეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ...



და, დიდი საფრთხე ემუქრება მომავალ თაობას. ორი ათეული წლის შემდეგ შედეგი გაცილებით მძიმე იქნება.

იმ მოვლენებმა, რომელთა შესახებ ესოდენ ვრცელი საუბარი იყო, განსაკუთრებულად დაანარჩუნა ოჯახი.

როგორც აღინიშნა, დღეს ოჯახის თითქმის ყველა ძირითადი ფუნქცია მოშლილია. დედა ბავშვთან ერთად ქუჩაშია გასული ლუკმაპურის საშოვნელად.

უფრო მეტიც, ზოგიერთმა მოშობელმა შეიღობა შეიღობა და დატოვა წყაროდ გაიხდა: ამათხოვრებს ეს კი იმის ბრალია, რომ მთელი ეპოქის სწრაფად გავ...

ლა მოვიდნო, რასაც ოჯახის სრული გალატაკება მოჰყვა. ამას დაემატა სამოქალაქო ომი, კონფლიქტები, სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვა.

აი, ასეთი ვახლდათ სულისკეთება მწერალთა კავშირში გამართული დისკუსიის თემაზე - „საქართველოს დემოგრაფიული ვითარება“.

